პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 236 (19977) ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

**სსრ კავშირის მოქალაქენო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ ქვეყნის მართვაში, განავითარეთ საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა, გაზარდეთ მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა — სოციალისტური დემოკრატიის განუყოფელი თვისებები!**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან

# ოქტომბრის გზით — გარდაქმნის გზით

## მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრები პარტიის, ომის ვეტერანებთან, ლენინგრადელ მშრომელებთან

**სულ** უფრო იგრძნობა ჩვენი მთავარი დღესასწაულის სუნთქვა. რევოლუცია დღესაც ცოცხლობს ჩვენს შეგნებაში, ჩვენს საქმეებში, იმ განახლებაში, რომელიც პარტიამ, გამოხატავს რა ხალხის ნებას, მილიონთა ღვიძლ საქმედ აქცია.

სახელი ადამიანისა, რომელმაც რუსეთის მშრომელები დარაზმა უმაგალითო ისტორიული გმირობისათვის, სამუდამოდ არის დაკავშირებული ოქტომბრის რევოლუციის ქალაქთან. ლენინის ქალაქი თითოეული ჩვენგანისათვის სამშობლოს სახელოვანი რევოლუციური წარსულით სიამაყის სიმბოლოა, შთაგონებისა და ენერგიის წყაროა აღმშენებლობის ახლანდელ სადაგ დღეებში.

გულითადად მივესალმები ყველა ლენინგრადელს: თქვენ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გაკისრიათ, თქვენ უნდა განაგრძოთ აქ დაწყებული დიადი საქმე. ეს იყო პირველი სიტყვები, რომლებითაც მ. ს. გორბაჩოვმა მიმართა ოქტომბრის ქალაქის მცხოვრებლებს. სულ ცოტა ხანი გვაშორებს, თქვა მან, სახელოვან იუბილეს, და პოლიტბიურომ გადაწყვიტა, რომ გენერალური მდივანი უნდა შეხვდეს ლენინგრადელებს 70 წლისთავის წინ.

როგორ ცხოვრობენ ლენინგრადელი ვეტერანები?

მ. ს. გორბაჩოვის ამ კითხვას უპასუხა განთქმულმა ლენინგრადელმა ავიატორმა, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ევგენი პეტრეს ძე ფიოდოროვმა.

— ვეტერანები მიესალმებიან თქვენს ჩამობრძანებას, მიხეილ სერგის ძევ, — თქვა მან.

**მ. ს. გორბაჩოვი:** სანამ აქ ჩამოვიდოდი, გამოვიკითხე, თუ რა მოხდა ორი წლის წინათ ჩვენი შეხვედრის, ჩვენი სჯა-ბაასის შემდეგ. და ვხედავ: საქმე, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც წინ წასულა... ძველი ინდური ანდაზა ამბობს: გზას მიმავალი დაძლევსო. ვფიქრობ, ეს ჩვენს დროსაც ესადაგება. წინ უნდა ვიაროთ, არ უნდა შევჩერდეთ, როგორც უნდა გაგვიჭირდეს. სიძნელენი სულ უფრო იმატებს, ამხანაგებო. ნახეთ, რა ღრმად გაიდგა ფესვი ჩვენმა პოლიტიკამ საზოგადოებაში. მთელმა ქვეყანამ, ყველა ჩვენგანმა უნდა ავითვისოთ ახალი მიდგომა, სხვაგვარად ცხოვრება და მუშაობა. ეს მარტივი საქმე როდია. ეს უდიდესი გარდაქმნაა. ტყუილად ხომ არ ვამბობთ: ჩვენი გარდაქმნა ოქტომბრის პირდაპირი განგრძობააო.

ათასობით ლენინგრადელი მიესალმა მ. ს. გორბაჩოვს ქალაქის ქუჩებში, ნევის სანაპიროებზე.

მარსის ველი. საზეიმოდ და დიდებულად ჟღერს მთელ ვრცელ მოედანზე ოქტომბრის გმირულ დღეთა მელოდიები. წმიდათაწმიდაა ხალხის ხსოვნა იმათ შესახებ, ვინც სიცოცხლე შესწირა დიად საქმეს.

მ. ს. გორბაჩოვმა მარსის ველზე პატივი მიაგო რევოლუციის მებრძოლებს, გირლანდით შეამკო ოქტომბრისა და სამოქალაქო ომის გმირთა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეთა საფლავები.

30 წლის წინათ დიდი ოქტომბრის 40 წლისთავის წინ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის გმირთა საძმო საფლავებზე აინთო მარადიული ცეცხლი. მისი ჩაუქრობელი ცეცხლი ყველა საბჭოთა ადამიანისათვის მუშათა კლასის საქმის, ოქტომბრის საქმის ერთგულების სიმბოლოა.

მ. ს. გორბაჩოვი მივიდა მარსის ველზე შეკრებილ ლენინგრადელებთან და გულითადად მიესალმა მათ.

**ი. ა. გლოტოვი,** 1920 წლიდან პარტიის წევრი: ძველი ლენინგრადელი ბოლშევიკების მთელი რაზმის სახელით — ჩვენ კი ოთხასზე მეტი ვართ — მხურვალედ გილოცავთ ოქტომბრის 70 წლისთავს და მოგახსენებთ: საბრძოლო, სადღესასწაულო განწყობილება გვაქვს.

**მ. ს. გორბაჩოვი:** მიხარია, რომ გხედავთ ამ დღეს ახალგაზრდობას შორის. მაშასადამე, ვეტერანთა საქმე ცოცხლობს. თქვენს გუნება-განწყობილებას კი, ძვირფასო ამხანაგო ვეტერანებო, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ჩემთვის უდიდესი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა აქვს.

**ვ. ა. ფეფილოვი,** 1922 წლიდან პარტიის წევრი: ვამაყობთ, რომ დიდი ოქტომბერი დღეს გრძელდება სამშობლოს ყველა საქმით, ვამაყობთ, რომ ახალგაზრდობა თავის ადგილს პოულობს გარდაქმნაში, აგრძელებს ჩვენს საქმეს.

— ახალგაზრდებო, აი ასეთი საბრძოლო სულისკვეთება უნდა გქონდეთ, — მიმართა მ. ს. გორბაჩოვმა სტუდენტთა ჯგუფს. — თქვენზე დიდ იმედს ვამყარებთ. თითოეულ თაობას რომ არ მოჰქონდეს ახალი ენერგია, პროგრესი არ იქნებოდა. ამიტომ სულისკვეთებას ვეტერანებს უნდა დაესესხოთ, და მიუსადაგოთ თქვენი ძალა, გონება, ცოდნა. ლენინგრადელები მუდამ ლენინგრადელები უნდა იყვნენ, ხასიათიც ლენინგრადული უნდა გვიჩვენოთ.

**ხმები:** ვეცდებით.

**მ. ს. გორბაჩოვი:** რამე შეკითხვები ხომ არა გაქვთ? ახლა პრობლემები სულ უფრო მოიმატებს გარდაქმნის, დემოკრატიის, ახალი სამეურნეო მექანიზმის დანერგვის დროს. მინდა, რომ ჩემგან მოისმინოთ პასუხი და გადასცეთ იგი სხვებს. დღეს ჩვენი თაობის ბედი ბევრად ჰგავს ლენინგრადელთა იმ თაობებისას, რომლებიც აქ იდგნენ და გაუძლეს. სწორედ ასე უნდა გავუძლოთ ჩვენც. გარდაქმნა ბევრ პრობლემას შეგვიქმნის. მაგრამ ნუ დაიბნევით.

**ხმა:** ვეცდებით.

**მ. ს. გორბაჩოვი:** ეცადეთ, დემოკრატიულად, ხელმძღვანელობასთან, პარტიელებთან, ჩვენს სოციალისტურ სამყაროსთან ერთად გადაწყვიტოთ ყველა პრობლემა, ყველა, ჩვენ რომ დავსახეთ — ეს ქვეყნისათვის, ყველა მშრომელისათვის არის. იმას, რაც ახლა ძნელია და შეეხება ყველას, უნდა გავუძლოთ, რადგან თუ ვერ გავუძელით, ვერ დავიპყრობთ მიჯნებს, რომლებიც დავსახეთ.

**ხმა:** გვესმის და მხარს გიჭერთ.

**მ. ს. გორბაჩოვი:** ჩაუფიქრდით იმას, რაც გითხარით. სწორია. ეს სერიოზული საქმეა.

... წავიდა დრო, როცა ამბობდნენ: იქ ზემოთ როგორ არისო? ველით, როცა ისინი იქ გაერკვევიანო. ასეთი საუბარი წარსულს ჩაბარდა. პოლიტიკა შემუშავებულია, გადაწყვეტილებანი მიღებულია. ახლა ყველაფერი კოლექტივებში უნდა გადაწყდეს. ახლა თქვენ უნდა გამოიჩინოთ ვაჟკაცობაც, გამძლეობაც და დისციპლინაც, წესრიგიც. და თუ ვინმე გზას უღობავს მშრომელთა კარგ ინიციატივას, კვლავინდებურად მიმართავს ძველ მეთოდებს — შენ ჩარხს ან შენ სამუშაო ადგილს მიხედე, ჩვენ კი უშენოდაც გავერკვევითო, — იმან გზა უნდა დათმოს. ასეთ მიდგომას გადაჭრით უარვყოფთ. მშრომელებს ყველაფერი ესაქმებათ. ეს მათი ქვეყანა, მათი წყობილებაა.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ თითქოს მოგიწოდებდეთ: ებრძოლეთ კადრებს, ხელმძღვანელებს? სულაც არა. კადრები, ხელმძღვანელები, სპეციალისტები, გაიხსენეთ, როგორ ეძებდა მათ გარდაქმნების პირველ წლებში ლენინი, — ეს ჩვენი ფონდია.

მაგრამ გვყავს ისეთი კადრები, რომლებმაც ან უნდა შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება საქმისა და ადამიანებისადმი, ან გზა დაუთმონ სხვებს. აი ასე ვსვამთ ჩვენ საკითხს. მაგრამ საქმე იოლად ვერ წავა, თუ არ გვეყოლება ხელმძღვანელი კადრები, ამასთან ინიციატივიანი. თანამედროვე, დღევანდელი, ადამიანებთან დაახლოებული კადრები. სწორედ ამიტომ ვამბობთ: მოდით დემოკრატიულად გავერკვიოთ ყველა ამ საკითხში. ოსტატის, ბრიგადირის, საამქროს უფროსის, განყოფილების გამგის, რექტორის, დირექტორის, რაიკომის, საქალაქო კომიტეტის მდივნის საკითხში. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანებმა იციან, ვინ რას წარმოადგენს. დემოკრატია დააწინაურებს იმათ, ვინც ადამიანებს ლიდერებად მიაჩნიათ... დღეს გაზეთ „პრავდაში“ წავიკითხე სტატია „დემოკრატია და ბიუროკრატია“. იქ იმოწმებენ მკითხველთა წერილებს. ერთ-ერთი ავტორი გამოთქვამს აზრს: დაე ხელფასი იგივე დაგვრჩეს, ამას ავიტანთ. მაგრამ უნდა დარჩეს ეს პროცესი, როცა ვლინდება პატივისცემა ადამიანისადმი, როცა ფასდება მისი ღირსება, როცა ყველაფრის თქმა და განხილვა შეიძლება, როცა ადამიანად გრძნობ თავს.

გვესმის, რომ რაღაცას ერთბაშად ვერ მივაღწევთ. რაღაცაში შევფერხდებით. მაგრამ უნდა ვეცადოთ, რათა საქმე არ ჩაგვეშალოს. და თუ ყველანი შევეცდებით, ვფიქრობ, ასეც იქნება. ადამიანებმა შენიშნეს მთავარი, — ატმოსფერო გაუმჯობესდა, ისინი სოციალისტურ ქვეყანაში თავს სოციალისტურად გრძნობენ. ეთანხმებით ჩემს აზრს?

**ხმა:** ვეთანხმებით.

**მ. ს. გორბაჩოვი:** სწორედ ასე იმოქმედეთ...

**ხმები:** ახლა ქვეყანაში ყველაფერი ბობოქრობს. ცხოვრება საინტერესოა. გინდა ნამდვილად მთელი ძალ-ღონით იმუშაო. მართლაც რომ, სულ სხვა ატმოსფეროა, სულ სხვაგვარი ცხოვრებაა.

**მ. ს. გორბაჩოვი:** სწორედ ეს მინდოდა გამეგონა.

**ხმა:** ამას ახალგაზრდა თაობასაც ვამჩნევ. სტუდენტები სულ სხვაგვარად რეაგირებენ.

**მ. ს. გორბაჩოვი:** იცით რას გეტყვით, თუ ახალგაზრდობაზე ვილაპარაკებთ, გარდაქმნა ხომ მათთვის, ახალგაზრდობისათვის არის. მათ უნდა იცხოვრონ ახალ პირობებში.

**ხმა:** ლენინგრადელები არ დაგალალატებენ.

**მ. ს. გორბაჩოვი:** გვექნება ურთიერთობა, რომელიც ამ წლებში შეიქმნა, აპრილის პლენუმის, პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ. ვფიქრობ, რომ ყველაფერი ხელგვეწიფება. მაშინაც კი, როცა რაიმე პრობლემები წამოიჭრება, მათ თქვენთან ერთად განვიხილავთ, თქვენთან ერთად გადავწყვეტთ.

**ხმა:** მიხეილ სერგის ძევ, შეხვდებით რეიგანს?

**მ. ს. გორბაჩოვი:** საბჭოთა კავშირი და ამერიკა უდიდეს როლს ასრულებენ მსოფლიო პოლიტიკაში. მსოფლიოში არც ერთი საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობის მიუღებლად. თქვენ იცით, ახლა ჩვენ პრაქტიკულად ამერიკასთან არ ვვაჭრობთ. ისინი უჩვენოდ ცხოვრობენ, ჩვენც უიმათოდ ვცხოვრობთ. ჩვენც შეგვიძლია ცხოვრება, მათაც შეუძლიათ. მაგრამ მე ასე ვფიქრობ: რაკი მსოფლიო იოლად ვერ გავა ამ ქვეყნების მონაწილეობის გარეშე, ახალი საერთაშორისო ურთიერთობა ვერ განვითარდება მათი მონაწილეობის გარეშე, მაშასადამე, უნდა გამოვძებნოთ როგორც პოლიტიკური დიალოგის, ისე შეხვედრების, ვაჭრობის გზებიც, რათა ჩვენს ხალხებს ერთმანეთისა ესმოდეთ. რიგით ამერიკელთა შორის იზრდება ინტერესი იმისადმი, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. მე მგონია, ამ პროცესს უნდა მივესალმოთ.

ახლა იქმნება პირველი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა. აქამდე ხომ, ომის შემდეგ, არც ერთხელ არ დაგვიდვია განიარაღების, მით უმეტეს ბირთვული განიარაღების არც ერთი ხელშეკრულება. თუ კარგი საბაბი გვექნება, მზად ვარ თუნდაც ერთ კვირაში შევხვდე პრეზიდენტს. ვფიქრობ, ეს სწორია. ახლა მეტად საშიშია დაძაბულობის კიდევ უფრო გამწვავება. ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯი შეიძლება ფრიად სერიოზულ შედეგებად დაგვიჯდეს. ამიტომ უნდა ვიყოთ ძლიერნი, მტკიცენი, მაგრამ მშვიდობის სასარგებლოდ, უკეთესი მსოფლიოსათვის განწყობილნიც. თუ შემცირდება სამხედრო კონფრონტაცია ბირთვულ, ქიმიურ, ჩვეულებრივ შეიარაღებაში, — ესეც გააუმჯობესებს მსოფლიო ვითარებას. ოღონდ — თანასწორობის პრინციპებზე.

რომელი საბჭოთა ადამიანი არ იცნობს ნევის ნავმისადგომს, სადაც რევოლუციური ხსოვნის მარადიულ საგუშაგოზე დგას კრეისერი „ავრორა“. ლეგენდარული ხომალდის სამუზეუმო სამსახურის მანძილზე აქ იყო 20 მილიონზე მეტი კაცი, მათ შორის 154 ქვეყნიდან ჩამოსული 2,5 მილიონი საზღვარგარეთელი სტუმარი.

სულ ახლახან ლენინგრადელმა მუშებმა და ინჟინრებმა ხომალდს დაუბრუნეს პირველქმნილი სახე, ახალი ექსპონატებით შეივსო მუზეუმის ექსპოზიცია.

გაისმის ფანფარების მოწოდება: „ისმინეთ ყველამ!“ ანძაზე აფრიალდა სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა. მწყობრში გაირინდნენ „ავრორას“ მეზღვაურები — ქვეყნის მრავალი ქალაქისა და რესპუბლიკის წარმომადგენლები. მათ, ახალგაზრდებს, უფროსმა თაობამ უანდერძა ამრავლონ საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები.

**მ. ს. გორბაჩოვი:** გამარჯობათ, ამხანაგო მეზღვაურებო! გულითადად მოგესალმებით. ჩემი ჩამოსვლა დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლუციის მომავალ იუბილესთან, აქედან, ნევის ნაპირებიდან „ავრორას“ ზალპმა მსოფლიოს აუწყა კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერის დაწყება. უნდა ვთქვა, რომ თქვენ განსაკუთრებულ სამსახურს ეწევით. ეს არ უნდა დაივიწყოთ. მეტად გახარებული ვარ, განახლებულ „ავრორას“ რომ ვხედავ.

**ხმა:** კრეისერის შეკეთებაში, მიხეილ სერგის ძევ, ქვეყნის 70-მდე საწარმო მონაწილეობდა. ყველას უმნიშვნელოვანეს შეკვეთად მიგვაჩნდა ეს საქმე.

შემდეგ გენერალური მდივანი გაეცნო რევოლუციური ამბების ვეტერანებს, პარტიის ვეტერანებს, ფრონტელებს. მას წარუდგნენ ადამიანები, რომლებიც უფროსი თაობების დიდებასა და სიამაყეს წარმოადგენენ:

— მ. დ. კოზინი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.

— ლ. ე. კოპნოვი, ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ომის ვეტერანთა გაერთიანებული საბჭოს თავმჯდომარე, გადამდგარი კონტრ-ადმირალი.

— ნ. თ. ბოგუსლავსკი, მრავალი წლის მანძილზე „ავრორას“ მეთაური, გადამდგარი კონტრ-ადმირალი...

მ. ს. გორბაჩოვმა დაათვალიერა რადიოჯიხური, საიდანაც 25 ოქტომბრის დაუვიწყარ დღეს გადაიცა „ლენინის მოწოდება „რუსეთის მოქალაქეებს!“, საბრძოლო ჯიხური, წინაერდოს ქვემეხი, რომლის ზალპი ზამთრის სასახლის შტურმის მოწოდებად გაისმა. იგი გაეცნო დიორამას „ავრორას“ გასროლა“. დინამიკურმა კომპოზიციამ აღბეჭდა XX საუკუნის ის წამი, რომლიდანაც იწყება ახალი დროის აღრიცხვა. ხომალდის მუზეუმი, რომელიც მოწყობილია მატროსების ექვს ყოფილ კუბრიგში, გაცილებით უფრო მდიდარი გახდა, 150 უნიკალური დოკუმენტით, რევოლუციური თაობის ავრორელთა პირადი ნივთებით შეივსო. ეკიპაჟთან გამოთხოვების ამაღელვებელი წუთები. მ. ს. გორბაჩოვს სთხოვენ ვეტერანები, შემდეგ კი ახალგაზრდა მატროსები, სურათი გადაიღონ სამახსოვროდ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა „ავრორას“ საპატიო სტუმრების წიგნში ჩაწერა:

„საბჭოთა ადამიანებისათვის, მთელი კაცობრიობისათვის კრეისერი „ავრორა“ ოქტომბრის უდიდესი სიმბოლოა.

აქედან მთელ მსოფლიოს გადაუარა „ავრორას“ ზალპის ექომ, რომელმაც გვაუწყა ახალი სამყაროს დაბადება.

წლების მანძილზე „ავრორა“ რევოლუციას, ოქტომბრის საქმეს ემსახურება.

საბჭოთა ადამიანები ამაყობენ, რომ ოქტომბრის დიადი საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს. იგი ცოცხლობს გარდაქმნისათვის გამიზნულ ჩვენს საქმეებში, მშვიდობის, პროგრესის, სოციალიზმის განმტკიცებისათვის ჩვენს ბრძოლაში.

დიდება და დიდი მადლობა თაობებს, რომლებმაც მოახდინეს რევოლუცია ბოლშევიკური პარტიის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ხელმძღვანელობით! დიდება საბჭოთა ადამიანების ყველა თაობას, რომლებიც განაგრძობენ დიდი ოქტომბრის რევოლუციით დაწყებულ ისტორიულ საქმეს!“

„ავრორაზე“ მ. ს. გორბაჩოვის ყოფნის სახსოვრად ეკიპაჟის სახელით უფროსმა მატროსმა ალექსანდრე ფირსოვმა გენერალურ მდივანს მიართვა სახსოვარი მედალი, აგრეთვე ლეგენდარული ხომალდის მედალი, რომელიც დაამზადა მისმა ყოფილმა მეთაურმა, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის წევრმა ი. ი. ფიოდოროვმა.

ახალი შეხვედრა ლენინგრადელებთან — გაჩერება გამარჯვების მოედანზე ლენინგრადის გმირ დამცველთა დიდებულ მონუმენტთან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ყვავილებით შეამკო მონუმენტის კვარცხლბეკი.

ფართო წრედ შემორტყმია მონუმენტსა და გამარჯვების მოედანს მოსკოვის პროსპექტზე აგებული ახალი საცხოვრებელი სახლები. აქ ყველგან მ. ს. გორბაჩოვს მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ ერთგან — განსაკუთრებით...

— გამარჯობათ, მიხეილ სერგის ძევ, — გააჩერა იგი მკვიდრმა ლენინგრადელმა, ინჟინერმა მ. ა. ზატრავკინმა. — გახსოვთ, სწორედ ამ ადგილას ორი წლის წინათ ვისაუბრეთ.

**მ. ს. გორბაჩოვი:** მოხარული ვარ შეგხვდეთ ისევ, ძვირფასო ლენინგრადელებო, პატივი მივაგო ლენინის ქალაქს, ოქტომბრის რევოლუციის აკვანს, და ყოველივე საუკეთესო გისურვოთ.

**მ. ა. ზატრავკინი:** ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ თქვენთან ერთად ყოველთვის კარგი ამინდი გვექნება.

**მ. ს. გორბაჩოვი:** მიგიხვდით ქარაგმას, მიგიხვდით, რომელ ამინდს გულისხმობთ. მართლაც, გულთბილად მახსენდება თქვენთან შეხვედრები 1985 წელს, გენერალური მდივნის პოსტზე ჩემი საქმიანობის დასაწყისში. ლენინგრადელებთან ეს შეხვედრები ბევრად დაგვეხმარა, გაგვიადვილა პასუხი კითხვაზე; რა გზით ვიაროთ? თქვენს რჩევა-დარიგებას, თქვენს მხარდაჭერას, ეს კი მაშინ ძალიან კარგად ვიგრძენი, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ხელმძღვანელობისათვის. ახლა კი მინდა გითხრათ, რომ ლენინგრადში ცვლილებები აშკარად ჩანს, და ეს მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ლენინგრადელები მთელი ქვეყნის ორიენტირია.

ნაშუადღევს მ. ს. გორბაჩოვი მივიდა პისკარიოვკის მემორიალურ სასაფლაოზე. მან გვირგვინით შეამკო დედასამშობლოს მონუმენტი, თაყვანი სცა ლენინგრადელთა და მეომართა გმირობას, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში დაიღუპნენ ქალაქის დაცვის დროს.

საღამოს მ. ს. გორბაჩოვი დაესწრო სპექტაკლს „ფსკერზე“ მ. გორკის სახელობის აკადემიურ დიდ დრამატულ თეატრში.

ლენინგრადელ მშრომელებთან შეხვედრების დროს მ. ს. გორბაჩოვს ახლდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ფ. სოლოვიოვი.

**ა. ბელიკოვი,**
**ნ. ჟელეზნოვი,**
**ნ. კონდრატენკო,**
საკდესის სპეციალური კორესპონდენტები.
ლენინგრადი.



ლენინგრადელებთან საუბრისას.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## მ. ს. გორბაჩოვი ლენინგრადში

**12 ოქტომბერს** მ. ს. გორბაჩოვმა ყვავილებით შეამკო ლენინგრადის გმირ დამცველთა მონუმენტი გამარჯვების მოედანზე. შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იყო მარსის ველზე. წუთიერი დუმილით მან პატივი მიაგო რევოლუციის მებრძოლთა ხსოვნას, გირლანდით შეამკო დიდი ოქტომბრისა და სამოქალაქო ომის გმირთა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეთა საფლავები. მემორიალის მარადიულ ცეცხლთან გაიმართა მ. ს. გორბაჩოვის საუბარი პარტიის ვეტერანებთან, რევოლუციური ამბების მონაწილეებთან, გმირი ქალაქის მშრომელებთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ეწვია ლეგენდარულ კრეისერს „ავრორას“, დაათვალიერა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნომერ პირველი ხომალდის ახალი ექსპოზიცია, ესაუბრა „ავრორაზე“ მყოფ პარტიის ვეტერანებს, ეკიპაჟის წევრებს.

ნაშუადღევს მ. ს. გორბაჩოვი იყო პისკარიოვკის მემორიალურ სასაფლაოზე. მან ყვავილებით შეამკო დედასამშობლოს მონუმენტი, პატივი მიაგო დიდი სამამულო ომის წლებში ქალაქის დაცვის დროს დაღუპულ ლენინგრადელთა და მეომართა გმირობას. წუთიერი დუმილი საბჭოთა ხალხის ვაჟკაცობისა და სულის ძლიერების პატივისცემის გამოხატულება იყო. მემორიალის 200 საძმო საფლავი ომისშემდგომ თაობათა გაუნელებელი ტკივილია. გულში ჩამწვდომი, შთამაგონებელი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის საუბრები ლენინგრადის დაცვის მონაწილე ვეტერანებთან.

(საკდესი).

## სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

**სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „კურგანის „აღდგენითი ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის“ საკავშირო სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ“.**

**დადგენილებაში** აღნიშნულია, რომ კურგანის საექსპერიმენტო და კლინიკური ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში პროფესორ გ. ა. ილიზაროვის ხელმძღვანელობით შემუშავებული იმ ავადმყოფთა მკურნალობის ახალი ეფექტიანი მეთოდები, რომლებსაც დაზიანებული და დაავადებული აქვთ საყრდენ-მამოძრავებელი აპარატი, საშუალებას იძლევა მოკლე ვადაში დაუბრუნონ მრავალი ადამიანი აქტიურ შრომითს საქმიანობას, მნიშვნელოვნად შეამცირონ მათი დაინვალიდება, მთელი რიგი დაავადებების დროს ავადმყოფთა სტაციონარული მკურნალობა შეცვალონ ამბულატორიულით. ინსტიტუტის ნოვატორულმა ნამუშევრებმა ახალი სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულება შექმნა ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში, მკურნალობის დიდეფექტიან მეთოდებს, რომლებსაც ანალოგები არა აქვთ მსოფლიო პრაქტიკაში, იყენებენ ქვეყნის მრავალი სამკურნალო დაწესებულებანი და ფართოდ აღიარებენ საზღვარგარეთ.

მაგრამ კურგანის გ. ა. ილიზაროვის სკოლაში შეძენილ დიდ შემოქმედებითს პოტენციალსა და მდიდარ გამოცდილებას ქვეყანაში საკმარისად ვერ იყენებენ. ნელა ინერგება ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში ინსტიტუტის ფუნდამენტური კომპლექსური სამედიცინო-ბიოლოგიური და სამედიცინო-საინჟინრო გამოკვლევებისა და ნამუშევრების შედეგები. ბევრ სამკურნალო დაწესებულებაში იგრძნობა ინსტიტუტის მიერ შექმნილი აპარატების ნაკლებობა, არ ჰყოფნით კვალიფიციური კადრები, რომლებიც დაუფლებული არიან მკურნალობის ახალ მეთოდებს, არსებული მატერიალური ბაზა საშუალებას არ იძლევა ფართო მასშტაბით გამოიყენონ მკურნალობის ეს მეთოდები.

იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო განვითარდეს და გაიზარდოს სამეცნიერო კვლევის დონე ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დარგში და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნიეს შეიქმნას რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურგანის საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაზიანებისა და დაავადების სამედიცინო-ბიოლოგიური და სამედიცინო-საინჟინრო პრობლემების საკავშირო სამეცნიერო ცენტრი — „აღდგენითი ტრავმატოლოგია და ორთოპედია“. ცენტრში შედის კურგანის ექსპერიმენტული და კლინიკური ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საცდელი ქარხნითურთ (მეთაური ორგანიზაცია), მისი ფილიალები მოსკოვის ოლქსა და ქალაქებში ლენინგრადში, ვლადივოსტოკში, ვოლგოგრადში, ყაზანში, კრასნოდარში, კრასნოიარსკში, ომსკში, სვერდლოვსკსა და უფაში.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს ნება მიეცა ყაზანის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სვერდლოვსკის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გადააკეთოს აღნიშნული ცენტრის ფილიალებად.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის სახმშენს, ბაშკირეთისა და თათრე-

(დასასრული მე-2 გვ.).

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია 1987 წლის 14 ნოემბერს ქალაქ თბილისში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი. **1987 წლის 12 ოქტომბერი.**

• • •

**საქართველოს** სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია განიხილავს შემდეგ საკითხებს: საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის სახელმწიფო გეგმა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა, საქართველოს სსრ 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ დაესწრონ სესიის სხდომებს.

### საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭო

**იუწყება, რომ 1987 წლის 16 ოქტომბერს დილის 10 საათზე ქ. თბილისში, საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა VII ყრილობა.**

დროის მოთხოვნა

# ვიცოდეთ ისტორია, რომ ვაშენოთ მომავალი

1917·1987

**ოქტომბერი და ისტორია — პირობითად ასეც შეიძლებოდა გვეწოდებინა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ისტორიის ინსტიტუტების ერთობლივი სამეცნიერო სესიის საერთო თემისათვის.**

**ისტორიკოსთა ეს თავყრილობა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს მიეძღვნა, როგორც ვიუწყებოდით, ახლახან გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.**

**ჩვენი კორესპონდენტი სესიის დამთავრების შემდეგ შეხვდა მეცნიერ ისტორიკოსებს მოძმე სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან და სთხოვა გაეზიარებინათ თავიანთი შთაბეჭდილება გამართულ ღონისძიებაზე და მის მნიშვნელობაზე.**

**ქ. ხუდავერდიანი — ისტორიის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი:**

— მუდამ გულით მომიხარია საქართველოსკენ, და ასე იყო ამჯერადაც, როცა თბილისიდან მოწვევა მივიღე. თვით ის ფაქტი, რომ ღონისძიება ოქტომბრის იუბილეს წინა დღეებში გაიმართა, თავისთავად მეტყველებს ამ შეხვედრის მიზანსა და დანიშნულებაზე. და ჩემი მოხსენების თემაც, „რა მისცა სოციალიზმმა საბჭოთა სომხეთის კულტურას" ამის უშუალო პასუხია.

ჯერ კიდევ XI საუკუნეში დაკარგა ჩემმა ხალხმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და, აქედან მოყოლებული, ვინ მოთვლის, რა ქარტეხილები არ გამოიარა დიდ ოქტომბრამდე.

ოქტომბრის რევოლუციამ კი დასაბამი მისცა ოველივე იმას, რითაც ახლა ამაყობს სომეხი ხალხი, და რაც ასე ფასეული და თვითმყოფადია.

რევოლუციამდე სომხებს საერთოდ არ გაგვაჩნდა სულიერი ცხოვრების ერთიანი ცენტრი. აღმოსავლელ სომხთათვის ამგვარ ცენტრს გარკვეულწილად თბილისი წარმოადგენდა, დასავლელთათვის კი კონსტანტინოპოლი.

უაღრესად დიდია თბილისის როლი ჩემი ხალხის კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში. ერის ბევრი რჩეული შვილი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა წლების მანძილზე. და ჩემი მოხსენებიდან ერთი ქვეთემა რომ ვამოგვეყო, სწორედ იმაზე უნდა გვესაუბრა, თუ რა მისცა საერ იოდ საქართველომ და თბილისმა სომეხ ხალხს, რა სიმაღლეებსა და მასშტაბებს აზიარა მისი კულტურა და ხელოვნება. ამაზე საუბარი კი შორს წაგვიყვანდა. ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ძმობა და მეგობრობა ურღვევი და უხინჯოა დღესაც და ორთავეს გულით გვახარებს ერთმანეთის ყოველი მნიშვნელოვანი მიღწევა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

ისტორია კი, მოგეხსენებათ, ის მეცნიერებაა, რომელიც ზედმიწევნით აფიქსირებს ყოველივეს, რაც შეგვიქმნია და რისთვისაც მიგვიღწევია.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართველები და სომხები, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხები, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ ერთი ცხოვრებით და ამასთან ყველა პირობა გვაქვს ვიყოთ დამოუკიდებელნი, ვქმნიდეთ საკუთარს, რაც ძმისთვისაც საზიარო და ფასეულია.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა შესაძლებელი სომეხი ხალხის კონსოლიდაცია და ერევანიც ერის სულიერი ცხოვრების ცენტრად იქცა, რაზედაც უკვე გესაუბრეთ.

**გ. მადათოვი — აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი:**

— სათქმელს უფრო დავაკონკრეტებ. ჩემი მოხსენების თემაც ხომ კონკრეტული იყო, კერძოდ ის, თუ „რა როლი შეასრულა აზერბაიჯანმა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში".

მართლაც რომ, განუსაზღვრელია ამიერკავკასიის ხალხთა როლი სოციალისტური რევოლუციის საბოლოო გამარჯვებაში. სამი მეზობელი ერის საერთო სულისკვეთება და თავგანწირვა ერთ-ერთი სამაგალითო ფურცელია რევოლუციის ისტორიოგრაფიაში. ამ ბრძოლებს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი თუ მონოგრაფია მიეძღვნა და მიეძღვნება მომავალშიც.

ახლა ინტერვენტებთან და კონტრრევოლუციონერებთან ბრძოლის უმძიმესი წლებიც გავიხსენოთ. აი, რას მოუწოდებდა მაშინ ამიერკავკასიის ხალხებს ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო: „ძმებო, მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, თუ ჩვენ — მუსულმანები, ქართველები, სომხები და რუსები გავერთიანდებით და შევქმნით ჩვენსავე მუშათა და გლეხთა საბჭოებს, გვწამდეს, ბოლოს მოვუღებთ ბეგებსა და სოვდაგრებს, ჩვენი მიწა-წყლიდან განვდევნით თურქთა ფაშებსა და გერმანელ მოძალადეთ!".

ახლა ეს ყოველივე ისტორიის კუთვნილებაა, ისტორიამვე მიითვალა ჩვენი ხალხების ბრძოლისა და თავგანწირვის მრავალი სახელოვანი ფურცელი, და იგი, როგორც უტყუარი მემატიანე, ახალ-ახალ ფურცლებს წერს. მას არამც და არამც არ გამორჩება რანი ვართ, და რას ვაკეთებთ ჩვენი საერთო სამშობლოს კეთილდღეობისათვის, როგორ გარდავიქმენით და რა კონკრეტული საქმეებით ვუპასუხებთ პარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნებს, აჩქარებული დროის მოთხოვნებს.

სოციალური სფერო



# იბადება ახალი სოფელი



**წელს** სვანეთს თავს დაატყდა სტიქიური უბედურება. ასობით ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. მაგრამ ბედის ანაბარად არავინ მიუტოვებიათ. დაზარალებულნი შეიხიზნეს რესპუბლიკის მრავალი სოფლისა და ქალაქის მცხოვრებლებმა.

ლენტეხის რაიონიდან ქალაქ წყალტუბოს ზონაში გადაიყვანეს 270 ოჯახი. მათთვის შენდება სოფელი ახალი საყულია. ამ კეთილშობილურ საქმეს ახორციელებენ „საქაგრომშენის" № 2 ტრესტის კოლექტივი, მთელი რიგი სხვა სამშენებლო ორგანიზაციები.

მომავალი სოფლის სამშენებლო მოედანი 83 ჰექტარზეა გადაჭიმული. ინტენსიურად მიმდინარეობს თანამედროვე კომპლექსის განაშენიანება. თითოეულ სახლს ექნება გარაჟი, სამზარეულო, აბაზანა, ელექტროგათბობა.

**სურათებზე:** შენდება სოფელი ახალი საყულია; სამშენებლო უბნის უფროსი რაულ ხუჭუა (ცენტრში), სამუშაოთა მწარმოებლები მიხეილ გელიაშვილი და დავით ნინუა ახალი სახლის საძირკვლის ჩაყრის წინ.

ა. მაჭავარიანისა და თ. ჯავახაძის ფოტო (საქინფორმი).

თვალსაზრისი

# ვალი მომავლის წინაშე

**დღეისათვის** ეროვნული პარკების რაოდენობამ მსოფლიოში ათასს გადააჭარბა. და მაინც, მიუხედავად ეროვნული პარკების ესოდენ დინამიკური გავრცელებისა, ფართო საზოგადოებრიობა ნაკლებად არის გათვითცნობიერებული მათს სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სარეკრეაციო მიზნებსა და ამოცანებში. სწორედ ამიტომ ამ თემაზე საუბარი დაგვიანებულად თუ არა, დროულად უნდა მივიჩნიოთ.

ეროვნული პარკის ცნება და შესაბამისად მისი განსაზღვრება სხვადასხვა ქვეყანაში მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ეროვნული პარკების გავრცელებამ ევროპასა და სხვა კონტინენტებზე (სადაც კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება კულტურული პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო ამოცანაა და თანაც ხელუხლებელი ბუნების არეალები დღითი დღე კლებულობს) გამოიწვია აქ დაარსებული ეროვნული პარკების შემადგენლობაში კულტურული ლანდშაფტების ჩართვა. დღეისათვის ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაღრმავდა — სავსებით მისაღებად არის მიჩნეული ეროვნულ პარკებში სამეურნეო საქმიანობაც — ცხადია, ისეთი, რომელიც უვნებელია ჩამოყალიბებული გარემოსათვის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბოლო დრომდე დამოუკიდებლად განვითარებადი ბუნებრივი გარემოს და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მოძრაობები სულ უფრო უახლოვდება ერთმანეთს, რაც ქმნის ადამიანის სასიცოცხლო გარემოს თვისებრივად ახლებურ გააზრებას და შესაბამის ეკოლოგიურ შეგნებას. ასეთი ახლებური მიდგომა გარკვეულწილად აისახა ეროვნული პარკების ორგანიზაციის, დაპროექტებისა და მართვის თანამედროვე პრობლემატიკაშიც. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის ეროვნული პარკების კომისია, რომელიც უძღვება მრავალმხრივ საერთაშორისო პროგრამებს, ინტენსიურ საქმიანობას ეწევა სხვადასხვა ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინებით ეროვნული პარკების კონცეფციის სრულყოფისათვის.

ამ ამოცანის გადაწყვეტას დიდად უწყობს ხელს საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამები, კერძოდ, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი პროგრამა.

ამ პროგრამით გათვალისწინებული ორმხრივი სემინარი ზაფხულში გაიმართა ქ. ვილნიუსში. საბჭოთა მხარეს, ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკების სპეციალისტებთან ერთად, ამ წერილის ავტორებიც წარმოადგენდა.

სემინარის ორგანიზატორებმა ეროვნული პარკების პრობლემატიკიდან ამჯერად რამდენიმე საკვანძო საკითხზე გაამახვილეს ყურადღება: ბიოლოგიური ნაირფეროვნების დაცვა, ეროვნული პარკების მართვა, დამთვალიერებელთათვის ტექნიკური ინფორმაციის მიწოდება, პარკების დაგეგმარება და, რაც საგანგებოდ იყო ხაზგასმული, ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა-პატრონობა.

საქმე ის არის, რომ ეროვნული პარკების ჩამოყალიბება ჩვენს ქვეყანაში 60-იანი წლების მიწურულს დაიწყო. ამ საქმის წამომწყებნი ბალტიისპირეთის რესპუბლიკები იყვნენ. ამდენად, ჩვენი ქვეყნის გამოცდილება სულ რაღაც ორ ათეულ წელს ითვლის. დღეისათვის შექმნილია 18 ეროვნული პარკი. რაც შეეხება პოტენციურ შესაძლებლობებს, აქ ჩვენს ქვეყანას ძნელად თუ ვინმე შეედრება. ქართველ მკითხველს თავად არ გაუჭირდება საქართველოს იმ კუთხეების გახსენება, რომლებიც ბუნების მიმზიდველობით და კულტურული მემკვიდრეობით უთუოდ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამავე დროს ფართო მკითხველმა საზოგადოებამ შეიძლება არც იცოდეს, რომ ჩვენში 1973 წლიდან მოქმედებს თბილისის ეროვნული პარკი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ეკვრის დედაქალაქს და მოიცავს გლდანის, მარტყოფის, ცხვარიჭამიის, ღულელების ტყეპარკებს, მამკოდის მემორიალურ პარკს.

ცხადია, საქართველოს პოტენციური შესაძლებლობები ეროვნული პარკების შექმნის თვალსაზრისით ბევრად აღემატება აღნიშნულ ტერიტორიას. ვილნიუსის სემინარზე ჩვენს მოხსენებებს სწორედ ეს თვალსაზრისი დავუდეთ საფუძვლად. შევეცადეთ გვეჩვენებინა ორი რეგიონი — ზემო სვანეთი და თუშეთი. გათვითცნობიერებული მკითხველისათვის ამგვარი არჩევანი გასაგებია, სემინარის მონაწილეთათვის კი ეს ნამდვილი აღმოჩენა იყო იმ შეზღუდული შთაბეჭდილებითაც კი, რომელსაც მოხსენების თანმხლები სლაიდები ქმნის ხოლმე.

ამ ინტერესმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ დროა შევუდგეთ ჩვენი მთის რეგიონების ახლებურად მოვლა-პატრონობას. ეს პრობლემა კარგა ხანია მწიფდება ჩვენს საზოგადოებაში, მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ენიჭება. ამჟამად საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა კომისია ამუშავებს წინადადებას ზემო სვანეთის განსაკუთრებული მნიშვნელობის ტერიტორიად გამოცხადების შესახებ. შესაძლოა, ეს სულაც ეროვნული პარკი იყოს. მაგრამ ამით არ უნდა შევიზღუდოთ. არანაკლებ დასაცავი და შესანარჩუნებელია საქართველოს მთიანეთის სხვა ნაწილებიც.

სწორედ ამ თვალსაზრისით, მოდით, ერთხელ კიდევ ვუპასუხოთ კითხვებს, რომლებიც კარგა ხანია მომწიფდა პროფესიულ და საზოგადოებრიობის ფართო წრეებში.

რა პრობლემების წინაშე დგას დღეს საქართველოს მთიანეთი მისი თავისთავადობის შენარჩუნების თვალსაზრისით?

როგორ, რა გზით შეუძლია სათანადო რეჟიმის მქონე ეროვნულ პარკს უზრუნველყოს ამ პრობლემების გადაჭრა?

პასუხის გასაცემად თვალი გადავავლოთ ბოლო ათწლეულებში ჩვენს მთიანეთში დაგროვილ პრობლემებს. ძირითადად ეს არის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენა და ამის შედეგად მოსახლეობის მიგრაცია. გაუკაცრიელების გამო ფასდაუდებელი კულტურული მემკვიდრეობის ნგრევა-გადაგვარება; კულტურული ლანდშაფტების გაველურება; არაორგანიზებულ ტურისტთა მზარდი ნაკადების შეუზღუდავი შემოტევა. ამ პროცესების დასასურათებლად საკმარისია შატილის მაგალითი, სადაც ციხესოფლის მრავალწლიანი და გულმოდგინე რესტავრაციის პარალელურად მიმდინარეობს ხალხური ქალაქთმშენებლობის ამ უნიკალური ძეგლის ნაწილის — ეგრეთ წოდებული „ხატის მიწის", ჩვენი აზრით მიუღებელი გამოყენება ტურისტული ბანაკის საჭიროებისათვის.

ამგვარ მოვლენებს ბოლო ხანს ემატება მთიანეთის აღორძინების საეტაპო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული და მთის პრობლემების გადაწყვეტისათვის თითქოსდა საჭირო სამშენებლო თუ სამეურნეო საქმიანობა. მაგრამ ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი აზრით ეს საქმიანობა მთის რეგიონებში საგანგებო მარეგულირებელი რეჟიმის უქონლობის გამო შესაძლოა უნიკალური კულტურულ-ესთეტიკური გარემოს ნელ-ნელა განადგურების მიზეზადაც კი იქცეს და, ბარის სახედაკარგული ლანდშაფტის მსგავსად, ერთ მშვენიერ დღეს მთამიც შეიძლება მივიღოთ ერთფეროვანი, დეგრადირებული სურათი. ამ ტენდენციას ვაკვირდებით სვანეთში, რაჭალეჩხუმში, ხევში, ფშავ-ხევსურეთში და თუშეთშიც კი, სადაც სამოცდაათიანი წლების ბოლოსათვის თითქმის ხელუხლებლად იყო შემორჩენილი განსახლების ისტორიული სისტემა, დასახლებათა დაგეგმარება, საცხოვრებელი, საკულტო, თავდაცვითი თუ სამეურნეო ნაგებობები.

ხალხური ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშების დაცვის გზაზე გადადგმული ცალკეული ნაბიჯები — იქნება ეს ძეგლების აღდგენა თუ მათთვის დაცვითი ზონების მიჩენა —. ვერ აკონტროლებს თანამედროვე სამშენებლო პროცესს. მთის პირობებში განსახლების სისტემა იმდენად არის განპირობებული ბუნებრივი და კლიმატური ფაქტორებით, რომ ახლად გაჩენილი ობიექტები არ შეიძლება, ან თითქმის არ შეიძლება, მკვეთრად გაემიჯნოს ისტორიულ დასახლებებს.

აქედან გამომდინარე, ძველისა და ახლის დაპირისპირება გარდაუვალია. ამ კონფლიქტის დაძლევის სტრატეგიულ მიმართულებად შეიძლება დაისახოს ჩვენს შეგნებაში ადამიანის სასიცოცხლო გარემოსადმი ახალი დამოკიდებულების პროპაგანდა, დამკვიდრება ისეთი დამოკიდებულებისა, რომელიც გულისხმობს ლანდშაფტის სახალხო-სამეურნეო, ეკოლოგიური და ფსიქოლოგიურ-ესთეტიური თანაბრად მნიშვნელოვანი და ერთმანეთის განმსაზღვრელი ფუნქციების ერთობლიობას.

საზოგადოებრივ შეგნებას შემთხვევით როდი ვუსვამთ ხაზს. გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ დღევანდელ საქართველოში ეკოლოგიური კულტურა უაღრესად დაბალ დონეზეა. გაიხსენეთ თუნდაც ქალაქის ძირითადი სარეკრეაციო არტერიის — თბილისიდან წყნეთში მიმავალი გზის გაყოლებაზე საყოფაცხოვრებო ნაგვის არშია, ყოველ ნაბიჯზე სამშენებლო ნარჩენების გროვები, სანაგვეებად ქცეული ჩვენი მცირე მდინარეების ხეობები (აქაც შორს წასვლა არ გვჭირდება — მდ. ვერეს ხეობა ქალაქის ფარგლებში მეტყველი მაგალითია). დანაგვიანებულია ჩვენი ტყეები, არქიტექტურული ძეგლების მიდამოები, წყაროები.

არანაკლებ საგანგაშოა მოსახლეობის ესთეტიკური შეხედულებების, ან უბრალოდ რომ ვთქვათ, გემოვნების ერთგვარი დეგრადაცია, რაც სოფლად უფრო თვალნათლივ ვლინდება: პომპეზური კიბეები, ჭიშკრებსა და ღობეებზე შესკუპებული რკინის მტრედები, ყვალი ფერები... ბარად აღმოცენებული ეს მეშჩანური ტენდენციები დღეს უკვე მთაშიც ვლინდება.

ყოველივე ეს საზოგადოებრივად საშიში სიმპტომებია, ისინი ადრე თუ გვიან თავს იჩენს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. გამოსავალი აქ ერთია — მოსახლეობის, უპირველესად კი ახალგაზრდობის ესთეტიკური და ეკოლოგიური აღზრდის ახალი, ქმედითი, ცხოვრებისეული ფორმების შემოღება.

თუ რა შეუძლია ამ მხრივ ეროვნულ პარკს, თვალნათლივ გვიჩვენეს ვილნიუსის სემინარის მასპინძლებმა ლიტვის „აუკშტაიტიის" ეროვნულ პარკში. თავს არ მოგაბეზრებთ ამ პარკის რიცხობრივი მაჩვენებლებით, თუმცა ეს მხარეც საკმაოდ შთამბეჭდავია. იმას კი ვერ დავმალავთ, რომ ამ პარკის დათვალიერებისას შურის გრძნობა დაგვეუფლა. სანიმუშოდ მოვლილი ბუნება, იტალონური მიწათმოქმედება ყოველგვარი ჰერბიციდების, პესტიციდების და მსგავსთა გარეშე, სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების ზონები, ავტოსადგომები, კემპინგები, დასასვენებელი სახლები, ქვეითი თუ სანაოსნო ტურიზმის მარშრუტები, თავდაპირველი სახით შენარჩუნებული სოფლები, მეფუტკრეობის მუზეუმი, საინფორმაციო ცენტრი, ხალხურ ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა ღია ცის ქვეშ... და ყოველივე ეს მოქმედებს, სიცოცხლით სავსეა, აქტიურად არის ჩამდგარი ერის სამსახურში. მასპინძლებმა აგვიხსნეს, რომ პრაქტიკულად ყველა ლიტველი მოსწავლე სკოლაში სწავლის პერიოდში გადის აქ მშობლიური ბუნების, კულტურის, ეკოლოგიური პასუხისმგებლობის, მოკლედ რომ ვთქვათ, პატრიოტიზმის შეუცვლელ გაკვეთილებს.

ეს კარგი მაგალითია. დიახ, მივბაძოთ, ჩვენც გვინდა, გვესაჭიროება საქართველოში ეროვნული პარკების მთელი სისტემა! მხოლოდ მაშინ შესხმება ხორცი პოეტის მოწოდებას: „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია!"

**ლადო ვარდოსანიძე,**
არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატი;

**პაატა შანშიაშვილი,**
არქიტექტორი.

# უცხოეთში

საქდესი იუწყება

13 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ სსრ კავშირი-ინგლისი

## სავაჭრო ურთიერთობის უდიდესი პოტენციალი

**ლონდონი.** დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობას უდიდესი პოტენციალი აქვს, განაცხადა აქ დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სახელმწიფო მინისტრმა ალან კლარკმა.

როგორც ინგლისის დედაქალაქში გამოაცხადეს, იგი სათავეში ჩაუდგება ბრიტანეთის ოფიციალური და საქმიანი წრეების დელეგაციას, რომელიც ჩავა მოსკოვში, სადაც ამ დღეებში გაიხსნება საბჭოთა კავშირ-ინგლისის სამეცნიერო-ტექნიკური და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივი სამთავრობათაშორისო კომისიის ყოველწლიური სესია.

საბჭოთა კავშირში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის წლევანდელი ოფიციალური ვიზიტის დროს, აღნიშნა ა. კლარკმა, მიღწეული იყო მორიგება იმის თაობაზე, რომ მხარეები შეეცდებიან 1990 წლისათვის 40 პროცენტით გაზარდონ ორმხრივი ვაჭრობის მოცულობა. მოლაპარაკების დროს განვიხილავთ ამ მიზნების მიღწევის გზებს. გაიმართება აგრეთვე აზრთა გაზიარება იმ ერთობლივი საწარმოების შექმნისა და სხვა ფორმის სამრეწველო თანამშრომლობის პერსპექტივებზე, რომლებიც დაისახება სსრ კავშირში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შედეგად.

ბრიტანეთის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ქვეყნის წამყვანი ფირმების წარმომადგენლები.

◆ ვიეტნამი

## პირველი რეისი

**ჰანოი.** ახალმა საბჭოთა სატვირთო გემმა, რომელიც ვიეტნამის კომპარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ლე ზუანის სახელს ატარებს, წარმატებით შეასრულა თავისი პირველი რეისი ვიეტნამის ნაპირებისაკენ.

გემის მოსვლა, რომელმაც ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირიდან ჩამოიტანა მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ტვირთი, დაემთხვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებას, რომელიც ფართოდაა გაშლილი რესპუბლიკაში. სახელოვანი იუბილის აღსანიშნავად ორი მოძმე ქვეყნის მეზღვაურებმა და დოკერებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ ტვირთის დამუშავების დავალებანი.

შრომა და კაპიტალი

## სოლიდარობის მანიფესტაცია

**პარიზი.** „არ გვინდა სამუშაოდან დათხოვნა", „დავიცვათ გაფიცვის უფლება", „აღვადგინოთ სამართლიანობა", „არ დავუშვათ პროფკავშირული აქტივისტების გასამართლება" — ასეთი ლოზუნგებით პარიზში გაიმართა მრავალათასიანი მანიფესტაცია.

იგი მოეწყო საფრანგეთის უდიდესი პროფგაერთიანების — შრომის საყოველთაო კონფედერაციის მოწოდებით საფრანგეთის კომპარტიისა და შრომის საყოველთაო კონფედერაციის იმ ათი აქტივისტის სოლიდარობის ნიშნად, რომლებიც უკანონოდ დაითხოვეს სახელმწიფო ავტომობილსაშენებელი კომპანია „რენოს" პარიზის გარეუბან ბულონბიანკურის ქარხნიდან.

გენერალური ასამბლეის სესიაზე

## მოწოდება მთავრობებისადმი

**ნიუ-იორკი.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დელეგატებმა მოუწოდეს ყველა მთავრობას, რომ 1987 წელს გამოცხადებულმა უსახლკაროთა ბინით უზრუნველყოფის საერთაშორისო წელმა დასაბამი მისცეს საყოველთაო მოქმედებას ამ მიმართულებით.

ორშაბათს გენერალური ასამბლეის 42-ე სესიაზე, როცა განიხილავდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარის მოხსენებას წლის შედეგების შესახებ, მათ აღნიშნეს, რომ ბინების ნაკლებობის პრობლემა გლობალური გახდა და იგი ეხება როგორც ღარიბ, ისე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსაც. დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უსახლკარობისა და ცუდი საბინაო პირობების პრობლემა არ შეიძლება მოისპოს შეთანხმებული, მტკიცე და ფართო მასშტაბის ღონისძიებათა მიუღებლად, და მხარი დაუჭირეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ ბინის დარგის 2000 წლამდე პერიოდის გლობალურ სტრატეგიასა და მისი განხორციელების გეგმას.

### ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **კოპენჰაგენი.** კოპენჰაგენის მთელი რიგი პროფკავშირული და ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციების მოწოდებით დანიის დედაქალაქში მოსულ ინგლისის საესკადრო ნაღმოსან „ბოქსერთან" გაიმართა ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაცია. მისმა მონაწილეებმა განაცხადეს პროტესტი ნატოს ბირთვული სახელმწიფოების პრაქტიკის წინააღმდეგ, რომლებიც არ იძლევიან იმის გარანტიას, რომ ხომალდებზე არა აქვთ ბირთვული იარაღი.

◆ **ხარტუმი.** სუდანის დედაქალაქში დამთავრდა ირან-ერაყის ომის შეწყვეტისათვის არაბული ქვეყნების სახალხო კონგრესი. მიღებული საბოლოო დეკლარაცია შეიცავს მოთხოვნას — დაუყოვნებლივ შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 598-ე რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს მტრულ მხარეებს შეწყვიტონ საბრძოლო მოქმედება და მოაწყონ საზავო მოლაპარაკება.

◆ **ნიუ-იორკი.** 100-ზე მეტი კაცი დაშავდა დიდი სარკინიგზო ავარიის შედეგად, რომელიც მოხდა ამერიკის ქალაქ რასელის რაიონში (აიოვის შტატი). „ამთრაკის" კომპანიის სამგზავრო მატარებელი შეეჯახა რკინიგზის ამწეს. ამის შედეგად ორივე ლოკომოტივი და 14-დან 11 ვაგონი რელსებიდან გადავიდა. ავარიის ადგილზე გაგზავნეს სანიტარიული მანქანები და ვერტმფრენები.

◆ **ოსლო.** მძლავრი გრიგალი დაატყდა თავს ნორვეგიის ჩრდილოეთ ტრომის პროვინციას. წინასწარი მონაცემებით, ქარმა აწყვიტა ქალაქ ტრომსის ნავსადგურში მდგომი გემები, ნავები და ზღვაში მიმოფანტა ისინი. რამდენიმე ხნით შეჩერდა მოძრაობა ხიდებზე, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს აქ მდებარე მრავალრიცხოვან კუნძულებს.

პლანეტის „ცხელი წერტილები"

შრი-ლანკა

## ოპერაციები ექსტრემისტთა წინააღმდეგ

**კოლომბო.** ინდოეთის ძალები კვლავ ახორციელებენ ოპერაციებს „ტამილ ილამის" განთავისუფლების ვეფხვების" ორგანიზაციის ექსტრემისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ჩაფუშონ ლანკა-ინდოეთის შეთანხმება შრი-ლანკაში ეთნიკური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ. 12 ოქტომბერს ინდოეთის ძალები უტევდნენ „ვეფხვების" პოზიციებს ტანკებით, ჯავშანტრანსპორტიორებითა და ნაღმსატყორცნებით. სხვადასხვა წყაროს ცნობით, მოკლულია ორასამდე ექსტრემისტი, ჯაფნში ლიკვიდირებულია ტყვიაწამლის იატაკქვეშა ფაბრიკა. ორგანიზაციის 250 აქტივისტზე მეტი ტყვედ ჩაბარდა. დაიღუპა აგრეთვე ცხრა ინდოელი ჯარისკაცი.

მიუხედავად ამისა, ტამილელმა ჯარისკაცებმა შეძლეს ახალი ტერორისტული აქციების განხორციელება. ამის შედეგად, სინგალთა შორის მსხვერპლმა ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ორასს მიაღწია. ნაღმზე აფეთქდა ინდოეთის სამხედრო-სატვირთო მანქანა. დაჭრილია 18 სამხედრო მოსამსახურე.

**დელი.** ინდოეთის სამხრეთის შტატის პოლიციამ, რომლის ტერიტორია შრი-ლანკისაგან გამოყოფილია ვიწრო სრუტით, მადრასში, ვედარანიამსა და რამეშვარამში გაჩხრიკა ექსტრემისტთა ორგანიზაციის კუთვნილი შენობები. გაზეთ „ჰინდუსტან ტაიმსის" მონაცემებით, იქ აღმოაჩინეს მძლავრი რადიოაპარატურა, რომლის მეოხებით შეიძლება კავშირის დამყარება 4 ათასი კილომეტრის რადიუსით.

მადრასში გამართულ პრესკონფერენციაზე ექსტრემისტთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა უარყო ცნობა იმის შესახებ, რომ ინდოეთის ძალებმა დააკავეს ამ დაჯგუფების ლიდერი ვ. პრაბჰაკარანი. მან განაცხადა რომ პრაბჰაკარანმა თავი დააღწია დაპატიმრებას და ამჟამად შრი-ლანკის ჩრდილოეთში იმყოფება.

ინდოეთისა და შრი-ლანკის სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები, რომლებიც შეშფოთებული არიან კუნძულოვან სახელმწიფოში ძალმომრეობით, მოითხოვენ ბოლო მოეღოს სისხლისღვრას. „ინდოეთ-ლანკის შეთანხმებას, რომელიც შეიძლება ეთნიკური კრიზისის გადაწყვეტის საფუძველი გახდეს, საფრთხე ექმნება მკვლელობათა გამო. ცხადია, რომ სინგალთა და ტამილთა რეაქციული ძალები ცდილობენ საბოტაჟი გაუწიონ მიღწეულ მორიგებათა განხორციელებას" ნათქვამია ინდოეთის კომუნისტური პარტიის (მარქსისტული) განცხადებაში. ლანკელ ტამილთა გავლენიანმა ორგანიზაციამ ტამილის განთავისუფლების გაერთიანებულმა ფრონტმა განაცხადა, რომ უნდა შეწყვიტონ შეტაკება და მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას ინდოეთ-ლანკის შეთანხმების შესრულების გზების განსაზღვრისათვის.

სპარსეთის ყურე:

## დაძაბულობის ესკალაცია



**ნიუ-იორკი.** ამერიკის შეერთებული შტატები ამწვავებს დაძაბულობას სპარსეთის ყურეში. როგორც ტელეკომპანია ეი-ბი-სი იუწყება, „შეერთებული შტატების საბრძოლო ვერტმფრენებმა, რომლებიც თავს ესხმიან სპარსეთის ყურეს, მიიღეს ნებართვა დაუყოვნებლივ დაუშინონ ცეცხლი თუ რომელიმე ირანული ხომალდი ოდნავ მაინც შეეცდება მტრულ მოქმედებას". ასეთი გადაწყვეტილება, აღნიშნავს ტელეკომპანია, მიიღეს იმის მიუხედავად, რომ, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პირები აღიარებენ, „მას შეუძლია მომავალ კვირაში გამოიწვიოს ორ ქვეყანას შორის შეიარაღებულ შეტაკებათა რიცხვის ზრდა".

ეი-ბი-სის თქმით, სპარსეთის ყურეში ამერიკულ ხომალდებსა და საბრძოლო ვერტმფრენებს ახლა დიდი საფრთხე ექმნებათ იმის გამო, რომ ირანს, როგორც ჩანს, აქვს „სტინგერის" ტიპის საზენიტო რაკეტები. პენტაგონმა და ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ დაიწყეს იმის სასწრაფო გამოძიება, თუ როგორ მოხვდა ეს საზენიტო რაკეტები ირანში. „დასავლეთ ევროპის ფარგლებს გარეთ აღნიშნულ რაკეტებს აწვდიან დუშმანებს ავღანეთში, უნიტას დაჯგუფებებს ანგოლაში, აგრეთვე საუდის არაბეთს, — აღნიშნავს ეი-ბი-სი. „სტინგერების" მიმღებთა მცირერიცხოვანი სია აიხსნება ამერიკის შეერთებული შტატების სიფრთხილით, რომ ეს რაკეტები შეიძლება იმათ ხელში მოხვდეს, ვისზეც ახლაა ლაპარაკი. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები იძულებულია თავი დაიცვას საკუთარი იარაღისაგან".

**ლონდონი.** ირანმა სარაკეტო დარტყმა მიაყენა ბაღდადს. რეიტერის სააგენტო, რომელიც იმოწმებს ერაყის მთავრობის წარმომადგენელს, იუწყება, რომ „დედამიწა — დედამიწა" კლასის რაკეტა აფეთქდა ბაღდადის ცენტრში სკოლის შენობის მახლობლად. წინასწარი მონაცემებით, 30 კაცი დაიღუპა, სულ ცოტა 200 დაშავდა. აფეთქების შედეგად მოისპო აგრეთვე ახლომახლო მდებარე რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. რაკეტის დაცემის ადგილას მისული სპეციალური რაზმები ეწევიან მაშველ სამუშაოებს, ნანგრევებიდან ამოჰყავთ დაზარალებულნი.

* * *

**სურათებზე:** სპარსეთის ყურის რეალიები დღეს.

საქდესის ფოტო.



პრესა ადასტურებს

## კონსერვატორთა ღვარძლი

**„ქორები" აჩაღებენ კამპანიას სსრ კავშირთან შეთანხმების წინააღმდეგ**

**ნიუ-იორკი.** ამერიკის ზოგიერთი სენატორი ცდილობს გააჩაღოს კამპანია იმ მიზნით, რომ არ დაუშვას პროგრესი შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში, ხელი შეუშალოს საშუალო სიშორისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების საკითხებზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმების დადებას.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, რამდენიმე კონსერვატორი სენატორ-რესპუბლიკელი ზეგავლენას ახდენს რეიგანის ადმინისტრაციაზე, რათა საბჭოთა კავშირს წაუყენოს ახალი ბრალდებანი, თითქოს იგი არღვევდეს მორიგებებს შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში. მათ მეთაურობს თავისი არქირეაქციული შეხედულებებით ცნობილი სენატორი ჯესი ჰელმსი. „მან და კიდევ 19 სენატორმა, — წერს გაზეთი, — გასულ თვეში პრეზიდენტ რეიგანს გაუგზავნეს წერილი და სთხოვეს მას ამა წლის დეკემბრისათვის კონგრესს წარუდგინოს მოხსენება, რომელშიც გაანალიზებული იქნება ეს პრობლემა".

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, ეს არის „კანონმდებელთა კამპანიაში პირველი ზალპი იმ მიზნით, რომ შეაფერხონ ორ ქვეყანას შორის გამოკვეთილი შეთანხმების მოწონება". როგორც გაზეთი წერს, სენატორები, რომლებიც, „სულ მუდამ აკრიტიკებდნენ პრეზიდენტის ნაბიჯებს რუსებთან შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში შეთანხმების მიღწევის გზაზე", ახლა აშკარად ცდილობენ „გამოიყენონ ასეთი ბრალდებანი, რათა ყურადღება გაამახვილონ იმაზე, რომ რუსების ნდობა არ შეიძლება". სენატორებმა თავიანთი „ბრალდებანი" სსრ კავშირის მიმართ ვერავითარი დამაჯერებელი ფაქტებით ვერ განამტკიცეს.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## რა იმალება ლოჰ-ნესის ტბაში?

**ლონდონი.** მითური „ლოხ-ნესის ურჩხულის" საძიებო ოპერაციის ძირითადი სტადიის დამთავრებიდან თითქმის ერთი დღე-ღამის შემდეგ მკვლევრებმა მიიღეს კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ შოტლანდიის ტბის სიღრმეში ბინადრობს რაღაც დიდი არსება.

ბოლო ცნობების თანახმად, სონარით აღჭურვილმა ერთ-ერთმა კატარღამ ტბის სამხრეთ ნაწილში 170 მეტრამდე სიღრმეში აღრიცხა „უჩვეულო ძლიერი კონტაქტი". თუმცა იმ ადგილის განმეორებით გავლისას „ობიექტი" არ აღმოჩნდა. ეს მოწმობს იმას, რომ იგი მოძრაობს. როგორც „დიპ-სკენის („ღრმა სკანირება") ოპერაციის ერთ-ერთმა მონაწილემ გაი პირსმა განაცხადა, ხელსაწყოების ჩვენებათა თანახმად, „იგი შეიძლება იყოს ძალიან დიდი, თევზის მსგავსი არსება".

ახლა, იუწყება აი-ტი-ვის ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახური, მკვლევრები აპირებენ სატელევიზიო აპარატურის გამოყენებას იმის დასადგენად, თუ, ბოლოს და ბოლოს, რა იმალება ლოხ-ნესის ტბის წყლებში.

ეს საინტერესოა

## უჩვეულო ავტორბოლა

**ბონი.** დასავლეთ გერმანიის ქალაქ საარბრიუკენის (საარის მხარე) მცხოვრებნი უჩვეულო ავტორბოლის მოწმენი გახდნენ.

მანქანები ერთმანეთს სრულიად უხმაუროდ უსწრებდნენ, არც ასეთ შემთხვევებში ჩვეული გამონაბოლქვი გაზების ღრუბელი ჩანდა, არ იგრძნობოდა ბენზინის სუნი. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ავტომანქანებზე დაყენებული იყო მზის ენერგიით მომუშავე ძრავები.

შეჯიბრებაში გაიმარჯვა ქალაქ კასელის მცხოვრებმა თომას ელხმა. საკუთარი კონსტრუქციის „მზის" ავტომობილით მან 40-კილომეტრიანი დისტანცია, რომელიც მთის მონაკვეთებსაც შეიცავდა, საათში 67 კილომეტრი სიჩქარით გაიარა. დაბლობში მან საათში 130 კილომეტრი სიჩქარე განავითარა.

დასავლეთ გერმანიის მზის ენერგიის გამოყენების საზოგადოების მიერ მოწყობილმა „ეკოლოგიურად წმინდა" ავტომანქანების პირველმა რბოლამ ცხადყო, რომ ახლო მომავალში ისინი გამოყენებული იქნება ქალაქის პირობებში და ასეთი მანქანებით შესაძლებელი იქნება მცირე მანძილებზე გასეირნება.

შემთხვევა

## იშვიათი ნაპოვნი

**ბრაზილია.** ერთ-ერთი უდიდესი აკვამარინი იპოვეს მდინარე სან-ჟოზეს შესართავში ქალაქ ვიტორიიდან (ბრაზილიის ესპირიტუ-სანტუს შტატის ადმინისტრაციული ცენტრი) 180 კილომეტრზე. ძვირფასი ქვა 20,5 კილოგრამს იწონის. წინასწარი შეფასებით მისი ღირებულება 10 მილიონი დოლარია.

## მუსიკა



...ტატებიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან...

ქართული კვარტეტი გასტროლებზეა ნამყოფი ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კულტურულ ცენტრში, ევროპის ბევრ სახელმწიფოში, აი რას წერენ დასავლეთგერმანული გაზეთები. „რაინი-

# ამბავი ოთხი მეგობრისა,

### სადაც კი ჩავიდნენ, ყველგან რომ გაიმარჯვეს

...ნდა, თქვენ, ალბათ, ცოტა უფრო დაწვრილებით გაინტერესებთ ის შემოქმედებითი გზა, რომელიც ოთხმა მეგობარმა მუსიკოსმა ჯერ-ჯერობით გაიარა და ლენინგრადულ ტრიუმფამდე მივიდა.

ამ ოთხიდან — სამი — გიორგი ხინთიბიძე (მეორე ვიოლინო), არჩილ ხარაძე (ალტი) და რევაზ მაჩაბელი (ვიოლონჩელო) ერთად სწავლობდნენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ...

...ყოფილ გამოვლენასაც ცდილობდნენ მეგობრები? რატომაც არა?! ასე იყო თუ ისე, 1979 წელს ჩანაფიქრს ფრთები შეესხა — კვარტეტი დაარსდა. იმავე წელს ახალგაზრდები მოსკოვის გნესინების სახელობის მუსიკალურ-პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხნენ, მოძღვრად რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი, პროფესორი ვალენტინ ბერლინსკი ჰყავდათ.

...მნიდანვე, კვარტეტი საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელით გამოდის და სულ რამდენიმე თვის შექმნილი უკვე სიმებიანი კვარტეტების პირველ საკავშირო კონკურსში მონაწილეობს. დებიუტი პირველი ...

...შე პოსტი“: „მხოლოდ გამოჩენილ საერთაშორისო კლასის ოსტატებს თუ ძალუძთ პარტიტურის ასე ჰარმონიულად წაკითხვა“... „ნომე რაინიშე ცაიტუნგი“: „მოცარტის ...

...ცხრე კვარტეტი — ეს ურთულესი თხზულებები ქართველი მუსიკოსების შესრულებით გვირგვინად დაედგა ლენინგრადის საერთაშორისო კონკურსს.

ახალგაზრდების რეპერტუარში ...

...ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის კვარტეტი: მარცხნიდან — ლევან ჩხეიძე, გიორგი ხინთიბიძე, არჩილ ხარაძე, რევაზ მაჩაბელი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

# გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

კიდევ ერთი ახალი ქართული თეატრის დაბადების მოწმენი გავხდით. ეს გახლავთ

**ერთი მსახიობის თეატრი**

პრემიერად თეატრმა მაყურებელს ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლი ...

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისა და საქინფორმის მასალები ამ რუბრიკისათვის მოამზადა გ. ბახტურიძემ.

## სახელოვანი დღესასწაული



# ის კაცი იყო და ლექსად იქცა

ნებული სახე. ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმზე გამოვიდნენ პარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი ე. გუგავა, პოეტები ჯ. ჩარკვიანი, რ. ამაშუკელი, ლადო ასათიანის ქალიშვილი მ. ასათიანი, ომისა და შრომის ვეტერანი ლ. ჩიქოვანი, მწერალი რ. ჯაფარიძე. შემდეგ კი სტუმრები ბარდნალისაკენ გაემართნენ. იქ — პოეტის მშო-...

...მარი ეწვია. ლადო ასათიანის ძეგლის გახსნამ ჭეშმარიტი სიხარული მოჰგვარა მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს. მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილსა და არქიტექტორ ანრი ყრუაშვილს ქვაში გაუცოცხლებიათ პოეტის შთაგო-...

...რეს, ის ლექსი წამეკითხა. და აი, ბედნიერებას ბედნიერება დაემატა: გაზეთმა „კომუნისტმა“ ისურვა ჩემი ლექსის დაბეჭდვა და გზის დალოცვა. დიდი მადლობით და მოკრძალებით ვთავაზობ ლექსს გაზეთის მკითხველებს.

## ბარდნალას

ისე როგორ მოვივლიდი
ლეჩხუმელთა მთა-გორებს,
ლექსით არ მოვეფერებოდი
სიყვარულით ამ სოფელს.

ისევ ის მთა, ისევ ის ტყე,
სარეკელას ბილიკი,
იქ ცხენისწყლის ნაპირი და
მთები ირიბ-ირიბი.

ბარდნალელებს მინდა ვუთხრა
სოფლის თანაზიარებს,
მოვეფერო ამ სოფელს და
ლადოს, ასათიანებს.

**ანდრო გამრეკლიძე,**
თბილისის 160-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## თეატრი



**პლეხანოვის** პროსპექტი, 103. ასეთია ამიერიდან მისამართი თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრისა, რომელმაც ხანგრძლივი მოგზაურობისა და სამკვიდროს ძებნის შემდეგ ჩინებული ჭერი პოვა.

ეს ორსართულიანი შენობა იუსტიციის სამინისტროს დიდებული არქიტექტურული ნაგებობის მეზობლად რომ მდებარეობს, მართალია გარედან სასურველ შთაბეჭდილებას ჯერ ...

# ზღაპარი უხმობს ყმაწვილებს



...უკვდავი დანიელი მწერლის ჰანს ანდერსენის ეს სიტყვები დაუდევთ საფუძვლად არქიტექტორებს თავიანთი ჩანაფიქრისათვის და განსაკუთრებით მიმზიდველად, ბავშვიკათვის გასაგები ენით აუმეტყველები-...

...უმცროსი მეგობრების გაოცება განუზრახავს. ასე უხდის იგი ხარკს ბავშვობის მოგონებებს.

პანოს შექმნას მხატვარმა ორ თვეზე მეტი მოანდომა. დღედაღამ ხარაჩოზე იდგა და გასამრჯელოზე უარი თქვა.

...სათა გმირებს.

**რ. მუხიგულაშვილი.**

**სურათებზე:** მაყურებელთა დარბაზის ხედი; ხატავს რუსუდან ფეტვიაშვილი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

## წერილი „კომუნისტს“

# როდემდე ვიყო ურადიოოდ

ვარ ღრმა მოხუცი. მარცხენა ხელ-ფეხის დამბლის გამო უმთავრესად ვწევარ. საწოლის თავთან მიდგას რეპროდუქტორი, გაზეთის მოსვლამდე ვგებულობ ქვეყნის საინტერესო ამბებს. მაგრამ, სამწუხაროდ, რადიო ხშირად ფუჭდება. გორის კავშირგაბმულობის კვანძიდან გამოგზავნიან მონტიორს, შეაკეთებს რადიოს, რომელიც 1-2 საათს იმუშავებს და ისევ დადუმდება. მეორე დღეს კვლავ ვაწუხებ კვანძის მუშაკებს. რა თქმა უნდა, ისევ ვთხოულობ რადიოს შეკეთებას. მეოთხე წელია ასე გრძელდება. ბოლოს და ბოლოს, თავი რომ მოვაბეზრე, გამოგზავნეს 4 მუშაკი, მათ შორის ერთი კონტროლიორი ქალი. რადიო კი კვლავ დუმს. ერთი სიტყვით, ბოლო არ უჩანს ამ უშედეგო მისვლა-მოსვლას. ნეტავ როდემდე უნდა ვიწვალო ასე?

**ს. ჯავახიშვილი,**
პარტიის ვეტერანი.

## სპორტი

# რას ფიქრობენ ექსპერტები?

**მსოფლიო** ჩემპიონობის პრეტენდენტი, დიდოსტატი იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია): . კასპაროვმა და კარპოვმა უდიდესი გავლენა მოახდინეს მოჭადრაკეთა დღევანდელ თაობაზე. ამიტომ მე მათი შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელი და გულშემატკივარი ვარ.

ჩემი აზრით, ახლა შეუძლებელია ...

**პარტიის** ერთი დებიუტით დაწყება და შემდეგ სხვა დებიუტის სფეროში გადასვლა თანამედროვე ჭადრაკისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. კარპოვ-კასპაროვის პირველი პარტია თავისი სტრუქტურით შლეხტერის დაცვას ჰგავდა, შემდეგში კი დაფაზე გრიუნფელდის დაცვისათვის დამახასიათებელი პოზიცია წარმოიქმნა.

გრიუნფელდის დაცვა მეტოქეთა შორის სადისკუსიოდ ჯერ კიდევ შარშანდელი მატჩის დროს იქცა. ამ სისტემის გამოყენების შემდეგ ფრიად დინამი-...

### მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

# სვლების გამეორებით

...დელი მატჩის მეცამეტე პარტიაში შეგვხვდა. როგორც გამოირკვა, ეს მსოფლიო ჩემპიონი იყო. მეათე სვლაზე მან ახლებური გაგრძელება გამოიყენა, თუმცა ვარიანტის ზოგადი შეფასება არ შეცვლილა. კარპოვი ცდილობდა ცენტრალური პაიკის წინსვლით შეებოჭა მეტოქე, კასპაროვი კი, როგორც გრიუნფე-...

...ფერხდა. ახლა უკვე ინიციატივა შავების მხარეზე აღმოჩნდა. კარპოვს დიდი სიფრთხილით მოუხდა თამაში, რათა მეტოქეს ლაზიერის ფრთაზე გადამწყვეტი უპირატესობა არ მოეპოვებინა. მსოფლიო ჩემპიონმა მთელ თავის ძალებს ამ უბანზე მოუყარა თავი, მაგრამ კარპოვმა არ ...

### პირველი პარტია
**კარპოვი — კასპაროვი**
გრიუნფელდის დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. g3 c6 4. მf3 კg7 5. კg2 d5 6. cd cd 7. მc3 0—0 8. მe5 e6 9. 0—0 მfd7 10. f4 მc6 11. კe3 მb6 12. კf2 კd7 13. e4 მe7 14. მ:d7 ლ:d7 15. e5 ეfc8 16. ეc1 კf8 17. კf3 ეc7 18. b3 ეac8 19. ლd2 მc6 20. ლb2 a6 21. კe2 ლe7 22. მb1 მb4 23. მc3 მc6 24. მb1 მb4 25. ეc5 მd7 26. ე:c7 ე:c7 27. მc3 მc6 28. მb1 მb4 29. მc3 მc6 30. მb1 ყაიმი.

კარპოვმა იფიქრა 2 საათსა და 21 წუთს, კასპაროვმა საათსა და 59 წუთს.

მორიგი მეორე პარტია დღეს გაიმართება. თეთრებით ითამაშებს კასპაროვი.

**გ. გამრეკელი.**



**ქუთაისელ** რეგბისტთა წლევანდელი დიდი გამარჯვების ამბავი — საბჭოთა კავშირის თასისა და ჩემპიონის ოქროს მედლების მოპოვება — უკვე ვაუწყეთ „კომუნისტის“ მკითხველებს. „მშენებელმა“ მართლაც ღირსეულად იასპარეზა. აი, ისინიც, ვინც ამ გამარჯვებას ქედდა: დუგლას კავთელაშვილი (უფროსი მწვრთნელი), ალიოშა ალავიძე (გუნდის უფროსი), ოლეგ ლიპარტელიანი (მოთამაშე მწვრთნელი), ნუგზარ ძაგნიძე, ოლეგ ჟორჟოლიანი, ბათლომე ხამაშურიძე, კახა გაბრიჭიძე, პაატა ძოწენიძე, მიხეილ ხარშილაძე, ავთანდილ გიორგაძე, ავთანდილ დეისაძე, მამუკა ლოსაბერიძე, კახა მაჩიტიძე, რობერტ ობოლაძე (გუნდის კაპიტანი), ბესარიონ ლილუაშვილი, თენგიზ ტურძელაძე, ალექსანდრე გრიგალავა, გია წივწივაძე, გრიგოლ გაბუნია, ბადრი შვანგირაძე, თამაზ ოდიშარია, ზაზა თხელიძე, თამაზ ფხაკაძე, ნიკოლოზ ნემსიწვერიძე, ალექსანდრე ნაჭყებია.

თ. ჯავახაძის ფოტო.

# მოკლედ

**ძიუდო.** საბჭოთა ფალავნების გამარჯვებით დამთავრდა ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელიც პარიზში გაიმართა. ფინალში ჩვენმა ძიუდოისტებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხეს საფრანგეთის ნაკრები. საბჭოთა გუნდის ღირსებას სხვებთან ერთად იცავდა **გორელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გიორგი თენაძე** (71 კგ). მან ფინალში მარკ ალექსანდრე დაამარცხა, მაიკოპელმა ჩატიბ ხაჩაკმა (60 კგ) მოუგო ევროპის ჩემპიონს პატრიკ როუს, ევგენი პეჩუროვმა (95 კგ, მოსკოვის ოლქი) — კონტინენტის ჩემპიონატის პრიზიორს როჯე ვაშონს, კუიბიშეველმა ხაბილ ბიქტაშევმა (მძიმე წონა) — ...

## ფესტივალი

# „ქება ვაზისა“

**თელავი, 12 ოქტომბერი** (საქინფორმის კორ. ჯ. ქურხული). ათ დღეს თელავი კამერული მუსიკის ფესტივალის კონცერტებით ცხოვრობდა. „ქება ვაზისა“ — ასე ეწოდება მუსიკის ამ დღესასწაულს, რომელიც 11 ოქტომბერს დაიხურა.

სიტყვას ვაძლევთ კამერული მუსიკის ფესტივალის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს:

...ვის პირველ პედაგოგად თვლის. საინიციატივო ჯგუფმა ელისო ვირსალაძის, ნატალია გუტმანისა და ოლეგ კოგანის ხელმძღვანელობით საქართველოს ფილარმონიასთან ერთად შეიმუშავა გეგმა. ფესტივალის მომზადებაში დიდად დაგვეხმარნენ საქართველოს ტელევიზია და რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო. გულთბილი მასპინძლობა გაგვი-...

...ბაში. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ელისომ ამ კონცერტზე გენრიხ ნეიგაუზის ყოფილი მოსწავლეები, უკვე ხანში შესული მუსიკოსები მოიწვია. უნდა ნახოთ, რა ბედნიერები არიან, როგორ უკრავენ. ელისომ ხომ მათ ახალგაზრდობა დაუბრუნა.

**ნათან პერელმანი,** ლენინგრადის კონსერვატორიის პროფესორი: — ფესტივალი უნიკალური მოვლენაა. აქ ხომ მუსიკალური ისტორია იწერება თელავზე.

**ლუდმილა გინზბურგი,** ოდესის კონსერვატორიის პროფესორი: — მე ზოგიერთი რამ გამეგონა ამ ...

...თელავის კამერული მუსიკის ფესტივალის დახურვის კონცერტს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

### მოსკოვი
14 ოქტომბერი

...ახალი ამბები. 18.00 — „რუსული მუზეუმი“. საბჭოური გრაფიკა. 18.30 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 19.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „კრება“. სახელმწიფო მიღების პრობლემებზე. 19.45 — ...

...„ზემოთ ქალაქია“. I სერია. 14.30 — გერმანული ენა. 15.00 — ახალი ამბები. 15.05 — სოფლის საათი. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — მულტფილმი. 19.35 — კ. დებიუსი. ნოქტიურნები. 20.25 ...

### თბილისი
14 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — 90 წუთი. 9.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.45 — მხატვრული ფილმი „ნიტორეკია“. 13.00 — ...

...ფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 16.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.20 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.50 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „ყურშა გაყოყოჩ-...

### თეატრი
14 ოქტომბერი

**რედაქტორი Ნ. ფოფხაძე**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08036 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო ქაღალდი, ხოჭარაულის ... 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14